ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ ინფორმაციას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	ცხრა თვის გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	12 414,5	11 995,3
გადასახადები	3 811,5	4 102,4
გრანტები	6 037,2	6 207,9
სხვა შემოსავლები	2 565,8	1 685,0
ხარჯები	7 007,2	6 589,2
შრომის ანაზღაურება	1 536,2	1 529,5
საქონელი და მომსახურება	1 120,0	1 022,0
პროცენტი	21.8	21.7
სუბსიდიები	3 448,9	3 203,8
გრანტები	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	421,3	403,3
სხვა ხარჯები	459,0	408,9
საოპერაციო სალდო	5 407,3	5 406,1

არაფინანსური აქტივების ცვლილება	**6 540,0**	**6 184,1**
ზრდა	**6570,0**	**6 191,7**
კლება	30,0	**7,6**
მთლიანი სალდო	**-1132,7**	**-778,0**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-1132,7**	**-778,0**
ზრდა	**144.8**	209,9
ვალუტა და დეპოზიტები	**144.8**	**209.9**
კლება	**987.9**	**987.9**
ვალუტა და დეპოზიტები	**987.9**	**987.9**
ვალდებულებების	0.0	**0.0**
ზრდა	0.0	**0.0**
საგარეო	0.0	**0.0**
საშინაო	0.0	**0.0**
კლება	0.0	**0.0**
საგარეო	0.0	**0.0**
საშინაო	0.0	**0.0**
ბალანსი	0.0	**0.0**

2019 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი შეადგენდა 987.9 ათას ლარს, ხოლო 2019 წლის 1 ოქტომბრისთვის ნაშთი შეადგინა 209, 9 ათას ლარს.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	**ცხრა თვის გეგმა**	**საკასო შესრულება**	**შესრულება%-ში**
შემოსულობები	**12 444,5**	**12002,9**	
შემოსავლები	**12 414,5**	**11 995.3**	
არაფინანსური აქტივების კლება	**30,0**	**7,6**	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**-**	**-**	**-**
გადასახდელები	13 577,2	**12 780,9**	

ხარჯები	7 007,2	6 589,2	94
არაფინანსური აქტივების ზრდა	6570,0	6 191,7	58
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-
ნაშთის ცვლილება	-1 132,7	-778,0	

ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **12 445,9** ათასი ლარით, ფაქტიურმა შერულებამ შეადგინა **12 002,9** ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის **96,5**%.

<u>I შემოსავლები</u>

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის გეგმით ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა **12 414,5** ათასი ლარი ფაქტიურად **11 995,3** ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის **96,6** შეადგინა.

I გადასახადები

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია **4 102, 4** ათასი ლარი, გეგმის **3 811,5** ათასი ლარის **107,6%**. საგადასახადო შემოსავლებში **1 782,2** ათასი ლარი მოდის ქონების გადასახადზე, ხოლო **2 320,2** ათასი ლარი გადასახადი საქომელსა და მომსახურებაზე (დამატებული ღირებულების გადასახადი).

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია **6 207,9** ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო **6 037,2** ათასი ლარი, 102,8%. მათ შორის: მიმდინარე ტრანსფერი _ 778,9 ათასი ლარი და კაპიტალური ტრანსფერი – 5 429,0 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების სახით ცხრა თვეში სულ შემოსულია **1 685,0** ათასი ლარი, გეგმის **2 565,8** ათასი ლარის 65,7 %. შემოსავლები საკუთრებიდან სულ შემოსულია 1 541,9 ათასი ლარი. მ.შ პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 17,1 ათასი ლარი, რაც გეგმის 30,0 ათასი ლარის, 57%. რენტის სახით მობილიზებულია 1 524,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 2 393,3 ათასი ლარის 63,7%-ია.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 74,5 ათასი ლარი, გეგმის 90,0 ათასი ლარის 82,7 %.

ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 49,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (45,0 ათასი ლარი) _ 109,6% შეადგენს.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 19,3 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 13 577.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 12780.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.1 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 წლის ცხრა თვის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 536,2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1529,5 ათასი, გეგმის 99,5%.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 446,1 ათასი ლარი

ხელფასები 446,1 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 446,1 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 446,1 ათასი ლარი

2. გამგეობა: შრომის ანაზღაურება 1011,5 ათასი ლარი

ხელფასები 1011,5 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 1011,5 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 1011,5 ათასი ლარი

3. სამხედრო : შრომის ანაზღაურება 71,9 ათასი ლარი

ხელფასები 71,9 ათასი ლარი

ხელფასები ფულადი ფორმით 71,9 ათასი ლარი

თანამდებობრივი სარგო 71,9 ათასი ლარი

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 1120,0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1022,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 91,2 %-ს შეადგენს.

,,პროცენტის'' მუხლით საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 21.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 21.7 ათასი ლარი, გეგმის 99,5 %

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა

3448,9 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3203,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 92,9%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- კომუნალური ინფრასტრუქტურის ექსპლოატაცია - 621,4 ათასი ლარი;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 978,2 ათასი ლარი;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები - 215,9 ათასი ლარი;
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი - 250,6 ათასი ლარი;
- განათლების სისტემის ხელშეწყობა - 27,9 ათასი ლარი;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 457,7 ათასი ლარი;
- კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა - 501,2 ათასი ლარი;
- რელიგია ორგანიზაციების ხელშეწყობა - 7,5 ათასი ლარი.
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა - 64,1 ათასი ლარი;
- სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანთლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების დაფინანსება - 68,3 ათასი ლარი;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა - 6,0 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 5,0 ათასი ლარი;
-

სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 421,3 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 403,3 ათასი ლარი, რაც გეგმის 95,7 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- დაკრძალვის ხარჯები - 2,1 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა დახმარება - 1,4 ათასი ლარი;

- ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება - 17,3 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 256,9 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 119,6 ათასი ლარი.
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა - 1.2 ათასი ლარი.
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა - 2,1 ათასი ლარი
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება - 2,4 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 0,3 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 459,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 408,9 ათასი ლარის მოცულობით, გეგმის 89%. მათ შორის 47,9 ლარი მოხმარდა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებას, 224,8 ათასი ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებას, 129,7 ათასი ლარი სოციალურ პროგრამებს, ხოლო დანარჩენი 6,5 ათასი ლარი დაიხარჯა სხვადასხვა პროგრამებზე.

ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 2067,3ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2137,6 ათასი ლარი) 96,7% შეადგენს.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იქნა 6 633,7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6223.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93,8 %.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 76,6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 64,1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.6%.

- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1635,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1477,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90,3%.

- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 1804.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 1722.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.4 %, მათ შორის:

- სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 646,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 603,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93,4%.

- საბინაო-კომუნალური მეურნეობის დასაფინანსებლად გეგმით გგათვალისწინებული იყო 643,6 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 622,2 ათასი ლარი, გეგმის 96,6 %.

2019 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულება ხარჯებისა და არაფიანსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		ცხრა თვის გეგმა	საკასო ხარჯი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	2137,6	2067,4
702	თავდაცვა	-	-
704	ეკონომიკური საქმიანობა,	6633,7	6223.4
706	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	643.6	622,2
707	-ჯანმრთელობის დაცვა,	76,6	64.1
708	-დასვენება და კულტურა,	1635,5	1477,5
709	განათლება	1804.1	1722.6
710	სოციალური დაცვა	646,1	603,7
	სულ ჯამი	**13577.2**	**12780.9**

სარეზერვო ფონდი

2019 წლის პირველ ექვს თვეში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამგებლის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო 52.5 ათასი ლარი, საკასო შესრულება შეადგენს 52.2 ათას ლარს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ექვს თვეში ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამები:

№	ორგანიზაციული კოდი	პროგრამის დასახელება	9 თვის გეგმა	9 თვის შესრულება
1	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2137,6	2067,4
2	02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	-	-
3	03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	3703,5	3590,9
4	03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	643,6	622,2
5	03 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1505,4	1337.4
6	03 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	730,0	728,8
7	03 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	694,7	560,9
8	04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1040,0	980,6
9	04 02	განათლების სისტემის ხელშეწყობა	752.8	733,5
10	04 04	საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამა	11.3	8.5
11	05 01 04	სპორტული ობიექტების დაფინანსება	285.1	167.3
12	05 01 05	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი	299.3	291.6
13	05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	510.5	501.3
14	05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	46.8	39.3
15	05 02 08 01	საახალწლო ღონისძიებების ხარჯი	5.0	4.8
16	05 02 09	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლები	224.3	219.5
17	05 02 10	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი	257.1	251.6
18	05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	7.5	7.5
19	06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	76.6	64.1

20	06 02 01	დაკრძალვის ხარჯები	2.3	2.1
21	06 02 03	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	142.0	126.1
22	06 02 04	დევნილთა დახმარება	11.0	1.4
23	06 02 05	საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება	18.5	17.7
24	06 02 06	სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	263.2	259.8
25	06 02 07	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	122.2	120.2
26	06 02 08	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	9.6	8.1
27	06 02 09	სოციალური პრობლემების და კულტურულ-საგანმანთლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების დაფინანსება	77.3	68.3
		სულ	**13577.2**	**12780.9**